

სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე

ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებადად და სასახელოდ; მისი საკვებავია უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და დაბნელება წყვდიადით სინათლისა. ბნელი ძალები არსებობდნენ როგორც დღეს, ისე წინადაც და მომავალშიაც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე ნათელია, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადოებრივი ინტერესი – კერძოს. იქნება თქვენგანმა ბევრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირობდნენ ამ 40–50 წლის წინათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახვსებულს ფორმას – ბატონყმობას. მაშინ არ იყო სწავლა-განათლება ისე გავრცელებული, როგორც დღეს არის, არც მეასედად; სად იყო მაშინ ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ბუნებრივი ჭკუა და ნამუსი იმათ მეტი ჰქონიათ. მეტისმეტად ნაწყენმა ბატონებმა თავხედურის საქციელით ახალგაზრდა კაცისა, „კაცია ადამიანის?!“ ავტორისა, დაზოგეს მისი სიცოცხლე იმ მოსაზრებით – იქნება საქართველოსთვის სასარგებლო კაცი დადგესო, იქნება ილიას რჩევა და მოძღვრება სჯობდეს, როგორც ნასწავლ კაცისა, და არც მოსტყუვდნენ. ღმერთმა დაიფაროს მაშინ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში, წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემეცივდეს, არ მომიშვიდესო. მოსუულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში. მწერლობის გარეშე ხომ უთვალავია მისი ღვაწლი: ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის. და დღეს კი, როცა უფრო ვითომდა გავნათლდით, დავკარგეთ ნამუსი, ადამიანობა, არ დავინდეთ მისი ჭაღარა! განსვენებულს კი დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდობისა და ამიტომ ნანასავით უმღეროდა მის მიერ აღზრდილ საქართველოს, წყლულ გულს ანუგეშებდა: „შვილები წამოგესწრნენ, ვაჟკაცი, გულმტკიცენი; მათი საგონებელი შენ ხარ და შენ იქნებიო“. მაგრამ ეს სრულიად არ გამართლდა, იმათ შორის მახინჯებიც გამოერივნენ. გამოერივნენ ისეთნი, რომელნიც თვით საქართველოს ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი, რა არის, მამ, თუ არ კვლა საქართველოსი?

ვიმედოვნებთ მხოლოდ იმითი, გვრჩებიან სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს; საქართველოს ბედ-იღბალს თავს ევლებიან და „საგონებლად“ გაჰხდომიანთ თავიანთი დაჩაგრული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი ეროვნება.

ღიადო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნემტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძევ იდეალებს – ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად. ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს და სხვა გმირებთან ერთად დაჰხედავს ათასში ერთხელ მაინც – გაიგოს ჩვენი ყოფაცხოვრება – გავიზარდებით, ავმაღლდით, თუ დავეცით უარესად და დავკნინდით, და შეგვავედრებს ღმერთს, რათა მოგვეცეს მან ძალა გაუკეთესებისა, ერთობისა, სიყვარულისა, – ჭკუა-გონება ნათელი, რათა არ გაჰქრეს შენი საყვარელი, სათაყვანებელი ერი, ლამაზი

გარეგნობით, გალამაზდეს ყოფაცხოვრების სათანადო წყობილებით.

მშვიდობით, საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, დიდებულიადამიანო!

წყარო: <https://bit.ly/2QpatG2>